საქართველოს იუსტიციის მინისტრის

ბრძანება №562
2020 წლის 3 ივლისი

ქ. თბილისი

„მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისათვის, სისტემური რეგისტრაციის გეოგრაფიული არეალების განსაზღვრის თაობაზე

„მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. სისტემური რეგისტრაციის წარმოების მიზნით, განისაზღვროს შემდეგი გეოგრაფიული არეალები:

ა) ლენტეხის მუნიციპალიტეტის ჟახუნდერისა და ჩიხარეშის ადმინისტრაციული ერთეულები;

ბ) ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ხვანჭკარისა და ჭრებალოს ადმინისტრაციული ერთეულები;

გ) ონის მუნიციპალიტეტის გომისა და ღების ადმინისტრაციული ერთეულები;

დ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა გომისმთა.

2. სისტემური რეგისტრაციის გეოგრაფიული არეალების (საერთო ფართობი - 85 292 ჰა) საკადასტრო და გრაფიკული მონაცემები განისაზღვროს ამ ბრძანების დანართი №1-ის შესაბამისად.

3. უფლებათა სისტემური რეგისტრაცია დაიწყოს ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე და ამავე ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ გეოგრაფიულ არეალებში დასრულდეს 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ხოლო „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ გეოგრაფიულ არეალებში – 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 16 დეკემბრის ბრძანება №666 - ვებგვერდი, 16.12.2020 წ.

4. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრი **თეა წულუკიანი**